საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 2 თებერვალი 1918 წ.

ბრძოლა

ყველა ნომერი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гаповская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 26 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 26

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა", „კავკასიური რაბოჩი" და „ბანვოლრი პრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბალშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12**-მან., ერთი თვით—**2** მან.

მომენტი.

ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები ამიერ-კავკასიასაც მოაწყდა. ისინი უკვე მოახლოვდენ და მრისხანედ აღიმართებიან კონტრ-რევოლიუციონურ ორმორონცების წინააღმდეგ. ქანაობს ორმორონცების ციხე-სიმაგრე; მოსჩანს პირველი აღი აუცილებელი ცეცხლისა, რევოლიუცია მხოლოთ ახლა იწყება ამიერ კავკასიაში. კონტრ-რევოლიუციონური ორმორონცების ბანაკი შიშსა და ძრწოლას მოუცავს. ახლოვდება ბრძოლა საბჭოების. მუშების და გლეხების მთავრობის დასამყარებლათ და ეს შიშის კანკალსა გვრის ყველას, დაწყებული მენშევიკებიდან და გათავებული შეიხულისლამით, რომლებიც ერთმანეთს მჭიდროთ ეკვრიან, ერთი მეორესთან ეძებენ შველას, დაცვას და ნუგეშს.

ერთ ბლოკს მეორე ბლოკი სცვლის, ძალთა ერთი კომბინაცია მეორეთი იცვლება.

მთავრობის ფრეებში თანდათან იზრდება ქარიშხალის შიში. გემი იწვის. ვირთხები ზღვაში ცვივიან.

ამიერ-კავკასიის მთავრობას უკვე დაშლა დაეცა, მისი ორგანოები ყველა მოშლილი და შებოკვილია. დანამდვილებით შეიძლება გამოანგარიშება, როდის შეწყვეტს თავის სამარცხვინო არსებობას კონტრ-რევოლიუციონური ორმორონცების ბლოკი. არ მოიპოვება პური, აღარ არის ფული, არ არის ნავთი, ნახშირი, ლითონი, ტანისამოსი და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, აღარ მოიპოვება არაფერი, რითაც ცხოვრობს და სულდგმულობს საზოგადოება.

ყველაფერი ირღვევა, ყველაფერი ინგრევა. Tous roule, tous croule. ამიერ-კავკასიის მთავრობის არაფერი აქვს გასაკეთებელი. რადგან მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. შინაგან საქმეთა მინისტრი თრთის და კანკალებს მის წინააღმდეგ მიმართულ შტიკების შიშით, ფინანსთა მინისტრი პრემიერთან ერთათ საღებავ წამალს ეძებენ თავისი ბონების სათვის (არავინ იცის—მიიღწიეს თუ არა მათ თავის მიზანს); სასურსათო კომიტეტები შიმშილობის ორგანიზაციებათ გადაიქცენ; საზოგადოებრივი თვითმართველობა იქცა საზოგადოებრივ ტანჯვა-ვაებათ. საშინელი შიშშილი სულ უფრო და უფრო მაგრათ უქერს და ინასკვებს თავის სასიკვდილო თოკს. ამიერ-კავკასიის კომისარიატი ჯალათის როლს ასრულებს. კომისარიატი სამარცხვინოთ ჯიუტობს და არ აცხადებს, რომ ის სრულიათ გაკოტრებულია, რომ ის უპატიოსნო მოვალეა ხალხისა. კომისარიატი განაგრძობს არევ-დარევას და ანარქიას.

ეს უსირცხვილო ამუშათ აგდებაა ხალხის ტანჯვისა და საჭიროებისა. სიცრუე და მოტყუება აი დღევანდელი პოლიტიკა ამიერ-კავკასიის მთავრობისა. აი მისი ერთათ ერთი ხსნა.

ჩვენში ყველაფერი მშვენივრათ არის მოწყობილი, ღმერთმა ყველას ასე მისცეს—აცხადებენ ისინი.

ისეთი სისაძაგლე არ იქნება, რომლის მოჩქმალვა არ შეიძლებოდეს.

აი ეს ითქმის სწორეთ გეგეჭკორზე, რომელიც მუშათა დეპუტატების საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე არწმუნებდა კრებას, რომ ყველაფერი მშვენივრათ არის, ყველა კმაყოფილია, მხოლოთ ბალშევიკებს შეაქვთ ანარქია და არევდარევა ამ იდეალურათ მოწყობილ ცხოვრებაშიო.

ჩვენ არ ვიცით, სწვავდა თუ არა ამ დროს სირცხვილის გრძნობა მას, მარა ეს აშკარაა, რომ ის აშკარა ტყუილს მიმართავს, რათა გადაარჩინოს თავისი შერყეული მდგომარეობა. უშველის კი ეს საქმეს? ვაი, რომ ვეღარას უშველის. ამიერ-კავკასიის კომისარიატის გაკოტრება სავსებით გამოაშკარავდა ხალხის ფართო მასისთვის.

აღშფოთების, გაბოროტების და გამწარების გრძნობის ქარიშხალი დღითი დღე მატულობს. ქალაქს მშიერთა აჯანყებები მოეკრის. მშიერთა ბრბო სასურსათო კომიტეტის წევრებს უკანა სდევნენ. მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვა გამოაცხადონ, დაწესებულებები იკეტება, სალდათები მრავლათ მიდიან შინ. სოფლებში იფეთქა აგრარული რევოლიუციის ცეცხლმა. გლეხობა ფეხზე დგება თავის დამჩაგვრელთა წინააღმდეგ. თათარის სოფლებიდან აჯანყება საქართველოსაც ედება.

მომწიფდა მუშათა და გლეხთა რევოლიუცია, ახლოვდება ხალხის მთავრობის გამარჯვება. ცეცხლის ენები უკვე სასახლეს სწვდება. ისინი სულ მალე იწვენენ და მინისტრების კაბინეტებსაც ანათებენ.

ოქტომბრის რევოლიუციის მეხის ხმა მხოლოთ ახლა გაისმის ძლიერათ ამიერ-კავკასიაში.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას ამიერ-კავკასიაში, როგორც მან გაიმარჯვა მთელ რუსეთში.

ძირს ორმორონცების და კონტრ-რევოლიუციონერების კოალიცია.

პეტერბურგის შეწყვეტა სანაღვლო კომისარიების საბჭოსი.

გამოვიდა რუსულ ენაზე „კავკასიის უწყება სახალხო კომისარების საბჭოსი" (პირველი ნომერი) უწყებაში მოთავსებულია დეკრეტი ს. შაუმიანის დანიშვნის შესახებ კავკასიის საგანგებო კომისარათ; შაუმიანის მოწოდებები კავკასიის ყველა საბჭოებისა და მუსულმან გლეხთა მიმართ: ჯარისთვის იარაღის აყრის გამო ამიერ-კავკასიაში: ყველა დეკრეტები სახალხო კომისარების საბჭოსი, რომელიც გამოიცა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

აქ მოგვყავს მოწოდება კავკასიის ყველა საბჭოების მიმართ.

„მუშათა. სალდათთა და გლეხთა დეპუტატების ყველა საბჭოებს, გავკასიის ყველა მუშებს, სალდათებს და გლეხებს!

სახალხო კომისარების საბჭომ 1917 წ. 18 დეკემბრის დეკრეტით დამნიშნა მე კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრათ, სანამ კავკასიაში შეიქმნებოდეს საბჭოების მთავრობა.

კავკასიაში დაუყოვნებლათ უნდა შეიქმნას საბჭოების მთავრობა. რევოლიუციის საქმე მთელ რუსეთში არსად არ არის ისეთ საფრთხეში, როგორც კავკასიაში. ჩრდილოეთ-კავკასიის კონტრ რევოლიუციის შემდეგ აშკარათ წამოყო თავი კონტრ-რევოლიუციამ ამიერ-კავკასიაში.

ორმორონცული ბურჟუაზიულ-პამეშჩიკური მთავრობა დაემხო რუსეთში, მაგრამ ის განაგრძობს არსებობას კავკასიაში. მუშების, გლეხების და სალდათების დეპუტატთა საბჭოები ან სრულიათ არ არსებობს აქ და ან რეაქციონურ ორმორონცული ორგანიზაციების კუდათ გადაქცეულან.

მუშების, გლეხების და სალდათების დეპუტატთა ინტერნაციონალურ-დემოკრატიული და რევოლიუციონური საბჭოების ნაცვლად ჩვენ გვყავს რეაქციონური ბურჟუაზიული და პამეშჩიკური ნაციონალური საბჭოები, რომლებიც ეროვნული მთავრობების როლს თამაშობენ. საბჭოების ინტერნაციონალური წითელი გვარდიის ნაცვლათ ჩვენ გვყავს ნაციონალური პოლკები, რომელთაც ხელმძღვანელობენ რეაქციონური ელემენტები.

ამ ნაციონალისტური პოლიტიკის წყალობით კავკასია და კერძოთ ამიერ-კავკასია აუცილებლათ მიექანება კონტრ-რევოლიუციის და ნაციონალური ომების ჯურღმულში.

შეთანხმების პოლიტიკის წყალობით რეაქციონერ მუსულმანების ბეგებთან და ხანებთან, ქართველ თავადებთან და აზნაურებთან და სომხის ბურჟუაზიულ ელემენტებთან არა თუ არ არის შესაძლებელი რაიმე რევოლიუციონური ხომის განხორციელება (მაგალითად, მიწის გადაცემა გლეხებისათვის, კანტროლი წარმოებასა და ვაჭრობაზე და სხ. ასე გასინჯეთ უბრალო ადმინისტრატიული გადამოჯვნაც კი კავკასიაში ერობის შემოღებისათვის), არამედ პირიქით, ძლიერდებიან კონტრ-რევოლიუციონური კლასები და ემუქრებიან ჩაახშონ ის თავისუფლებაც კი, რომელიც თებერვლის რევოლიუციამ მოიპოვა.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი შეძრწუნდა იმ ანარქიის და კონტრ-რევოლიუციის წინაშე, რომელიც მან თითონ შექმნა თავისი პოლიტიკით, სტრუქტურა თავისი უღონობა და ძალა-უფლებიდან გადადგა. ეგრეთ წოდებულმა კავკასიის სეიმმა, რომელიც 22 იანვარს გაიხსნა, თავის გახსნის დღესვე გამოაშკარავა თავისი უნიადაგობა და უმწეობა. ბალშევიკების გარდა, რომელთაც არც კი გაახადეს სეიმი შიგ შესვლის ღირსათ, სეიმის წინააღმდეგ გამოვიდენ სოციალისტ-რევოლიუციონერები და „დაშნაკ-ცუტიუნის" პარტია.

ამნაირათ საკითხი თვით სეიმის არსებობის შესახებ გადაწყდა მენშევიკები და მუსულმან ბეგების ჯგუფის უმნიშვნელო უმრავლესობით.

მეორე მხრით, სასოწარკვეთილი მუსულმანთა გლეხობა აჯანყდა და უწყალოთ ჟლეტს თავის ხანებს, ბეგებს და აღალარებს, რომლებიც აქამდე კავკასიის ორმორონცებთან ერთათ წარმოადგენდენ

კავკასიის „რევოლიუციონურ მთავრობას".

ერთათ ერთი გამოსავალი ამ ჩიხიდან, ერთათ ერთი საშუალება თავიდან აცილებოთ ეროვნული ომების და კავკასიის ხალხთა ერთმანეთის ჟლეტის საშინელებანი, თუ უკვე არ დაგვიანებულა, არის ის, რომ კავკასიაში შეიქმნას საბჭოების მთავრობა.

მთელ რუსეთში მტკიცდება საბჭოების რესპუბლიკა. იწყება ბრძოლა საბჭოების მთავრობის დასამყარებლათ კავკასიაშიაც.

დეკემბერში არშიის მეორე სიეზდზე შექმნილი საოლქო საბჭო დაინგრიეს ობორონცებმა და გაყვეს ორ ნაწილათ, რადგანაც ის თავის უმრავლესობაში საბჭოების მთავრობას ემხრობოდა. იმავე თვეში შეკრებილი მუშათა დეპუტატების საბჭოების სიეზდიც ორ ნაწილათ გაიყო ობორონცების ბრიკების წყალობით, რადგან მათ არ ისურვეს უმცირესობაში დარჩენილიყვნენ. ალარ არსებობს მთელი კავკასიის საბჭოების ცენტრები; ეს კიდეც ცოტაა! მომეტებულ ნაწილათ ადგილობრივათაც არ არსებობს საბჭოები. რევოლიუციის შემდეგ ათი თვის განმავლობაში სრულიათ არაფერი არ გაკეთებულა, რომ მუსულმან დასომხის ვრცხობაში საბჭოები მოწყობილიყო. ძალიან ცოტაა ამ მხრივ გაკეთებული. ქართველ ვრცხებშიაც. ვრცხობა კი გმობნავს იმის გამო, რომ არ არსებობს მართველობის ორგანოები, რომლებთაც შეიძლება იყვნენ მხოლოთ ადგილობრივი საბჭოები. არსად, არც სოფლებში, არც მაზრებში, არც ქალაქებში არ არსებობს რევოლიუციონური მთავრობა და ყველგან გამეფებულია ანარქია.

ამხანაგებო, კავკასიის მუშებო, სალდათებო და გლეხებო!

მე მოგიწოდებთ თქვენ, რომ შეუდგეთ ახალი ცხოვრების მოწყობას. მოიწვიეთ საბჭოები ყველგან, სადაც ისინი ჯერ არ არსებობს. გაამაგრეთ ისინი იქ, სადაც ასეთები მოიპოვება; შეიერთეთ ადგილობრივი საბჭოები სამაზრო და საგუბერნიო საბჭოებთან და შექმენით ცენტრალური საოლქო საბჭოები.

ეს საბჭოები უნდა იქნეს სრულ-უფლებიანი რევოლიუციონური ორგანოები. სახელმწიფო მართველობის ძველი ფორმები დაირღვა, მეშჩების და გლეხების მთელ რუსეთში სწარმოებს ახალი ცხოვრების შენება, სამოქალაქო ომის ტკივილებში იბადება ახალი თავისუფალი რუსეთი. არა ბურჟუაზიულ-პარლამენტარული რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან კაპიტალისტები და მემამულენი, არა კავკასიის „სეიმი" შეგვძლის, ანწყურების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ობორონცების მეთაურობით არა-მედ საბჭოების მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა ან რა გვიხსნის ჩვენ დღევანდელ ომისაგან.

ამიერიდან სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ველარ უნდა იხილონ ძალაუფლება, მთელი ძალა-უფლება, მთელი მართველობა სახელმწიფოსი ცენტრებში და ადგილობრივათ უნდა ეკუთნოდეს მშრომელ, რევოლიუციონურ კლასებს—პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას.

უამისოთ ვერ გაიმარჯვებს რევოლიუცია. უამისოთ არ არსებობს გზა სოციალიზმისკენ.

მაშ, შეუდგეთ საქმეს, ამხანაგებო!

მე მივმართავ კავკასიის უდიდეს საბჭოებს: ბაქოსას, თბილისისას, ჯროზნისას და სხ. აგრეთვე საოლქო ცენტრების ბაზრებს და მოუწოდებ მათ, თავს იდვან და მოიწვიონ რაც შეიძლება სჩქარით და დაუყოვნებლივ კავკასიის ყველა საბჭოების სიეზდი, რომ შექმნან ცენტრალური ავტორიტეტული საბჭოების მთავრობა.

კავკასია უფსკრულის კარზეა მიმდგარი, დაიხსენით იგი! შექმენით აქ ინტერნაციონალური მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც მჭიდროთ დაუკავშირდება რუსეთის საბჭოების ცენტრებს და სახალხო კომისარების საბჭოს, ბოლოს მოუღებს კავკასიაში კონტრ-რევოლიუციის და გაუძღვება კავკასიის მუშაობა და გლეხთა მასას პრწყინვალე მომავალისაკენ, სოციალიზმის სამეფოსაკენ.

კავკასიის საქმეების დროებითი საგანგებო კომისარი ს. მაჟმიანი.

როგორ მოატყუეს სალხი სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და რა მისცა ხალხს ახალმა ბატონმა. მთავრობამ.

(დასასრული, იხ. „ბრძოლა" № 20).

აი რა მისცა ხალხსა ბალშევიკების ახალმა მთავრობამ.

26 ოქტომბრის კანონი, მიღებული მუშათა და სალდათთა საბჭოების მეორე ყრილობაზე:

1. მემამულეთა საკუთრება მიწაზე უქმდება დაუყოვნებლივ გამოუსყიდველათ.

2. როგორც მემამულეთა, აგრეთვე საუფლისწულო, სამინისტრო და საეკლესიო მიწები, თავიანთის ინვენტარით, მოძრავი და არა მოძრავით, სამოსახლო შენობით და ყოველივე კეთილმობით, გადადიან სოფლის კომიტეტების და გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოების განკარგულებაში დამფუძნებელი კრების შეკრებამდის.

3. ყოველგვარი ზიანის მიყენება ზემოთ ჩამოთვლილ ქონებისათვის მიერ, რომელიც დღეიდან მთელი ხალხისა ხდება, ჩათვლება ძძიმე დანაშაულათ, რისთვისაც დასჯის სარევოლიუციო სასამართლო. გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები მიიღებენ ყოველგვარ საჭირო ზომებს, რომ დაცული იყოს სასტიკი წესრიგი მემამულეთა მიწების კონფისკაციის დროს; რომ გამოირკვეს, თუ რა მიწის ნაკვეთს და რა ზომისას უნდა შეეხოს კონფისკაცია; რომ ჩამორთმეულ მიწაზე შესდგეს სწორე სიმ. და რომ სასტიკათ იყოს დაცული ხალხზე გადასული მთელი ქონება თავის შენობებით, იარაღით, საქონლით, დახოგილ ნაყოფიერებით და სხ.

4. მიწის დიდი რეფორმის განსახორციელებისთვის საჭიროა სახელმძღვანელოთ, ვიდრე მას უკანასკნელათ გადაწყვეტს დამფუძნებელი კრება, უნდა იყოს ყველგან მიღებული შემდეგი „ნაკაზი", რომელიც შეიმუშავა თანამედროვე 242 გლეხების ნაკაზებისა „სრულიათ რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს" რედაქციამ და გამოქვეყნებული № 88 აგვისტოს 19 1917 წ. ეს 242 ნაკაზები შედგენილი იყვენ თვით გლეხებისაგან სოფლებში.

მიწის შესახებ.

მიწის კითხვის გადაწყვეტა შეუძლიან მხოლოთ სახალხო დამფუძნებელ კრებას.

მიწის კითხვის სამართლიანათ გადაწყვეტა უნდა მოხდეს ასე:

1. მიწაზე კერძო საკუთრების უფლება სამუდამოთ უქმდება: ამიტომ აღიკრძალება მიწის გაყიდვა, შესყიდვა, მიცემა იჯარით, ან გირაოთ და არცა რა სხვა რომელიმე სახით გადაცა სხვის სახელზე. მთელი მიწა: სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეთო, სამონასტრო საეკლესიო, კერძო მესაკუთრეთა, და სხ. უნდა ჩამოვრთვეს უსასყიდლოთ, გადაიქცეს საყოველთაო სახალხო ქონებათ და გადავიდეს მიწაზე მშრომელთა ხელში სასარგებლოთ.

დაზარალებ ქონების ჩამორთმევით გადატრიალების გამო ენიშნებათ უფლება მიიღონ საზოგადოებისაგან დროებით დახმარება, ვიდრე ისინი შექმნილ არსებობისთვის საჭირო პირობებს შეეგუებიან.

2. ყოველი დედამიწის გული: მადანი, ნავთი, ნახშირი, მარილი და სხ. აგრეთვე ტყე და წყალი, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, გადაიდის სახელმწიფოს ხელში განსაკუთრებულ სასარგებლოთ. ყველა პატარა მდინარეები, ტბები და სხ. გადადიან მდინარეების ხელში სასარგებლოთ, რომელთაც აუცილებლათ განაგებს ადგილობრივი მართველობის ორგანო.

3. მაღალ კულტურიანი მეურნეობის მიწის ნაკვეთები: ბაღები, ჭლანტაციები, სანერგეები, სანიმუშო მინდვრები, ორანჟერეები და სხ. არ გაინაწილდებიან, არამედ დარჩებიან სასწავლო-სანიმუშო საგნებათ, რისთვისაც სივრცისა და მნიშვნელობის მიხედვით გადაეცემათ საბჭოების ან თემებს და მათ განსაკუთრებულ სარგებლობაში დარჩებიან.

სამოსახლო, სამოქალაქო და სასოფლო მიწები, საშინაო ბაღებით და ბოსტნებით, ხელუხლებელ დარჩებიან მათ პატრონებს, ხოლო ნაკვეთების სიდიდე და მათზე გადასახადი მათი საკარგებლობისთვის უნდა განისაზღვროს კანონმდებლობითი წესით.

4. ცხენების ქარხნები, სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა ჯიშიანი საქონელი და ფრინველი და სხ. ჩამოერთმევიან მათ პატრონებს და გადაიქცევა მთელი ხალხის ქონებათ და რაიონებისა და მნიშვნელობის მიხედვით დარჩება ან სახელმწიფოს ან თემების სარგებლობაში.

რაც შეეხება გამოსყიდვის კითხვას მას გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება.

5. ჩამორთმეული მიწების მთელი სამეურნეო ინვენტარი, როგორც მოძრავი ისე უძრავი, რაოდენობის და მნიშვნელობის მიხედვით, გადადის სახელმწიფოს და თემების განსაკუთრებულ სარგებლობაში.

წერილ მემამულე გლეხებს ინვენტარი არ ჩამოერთმევა.

6. მიწით სარგებლობის უფლება ენიჭება რუსეთის სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს, რომელიც კი მოისურვებს დამუშაოს მიწა საკუთარის შრომით, თავის ოჯახის შემწეობით, ან ამხანაგობით, იმ დრომდის, მანამ იგი შესძლებს მიწის დამუშავებას.

თუ სოფლის საზოგადოების რომელიმე წევრმა ვერ შესძლო შემთხვევითი უღონობის გამო მიწის დამუშავება ორი წლის განმავლობაში, მაშინ სოფლის საზოგადოება მოვალეა დაეხმაროს მას მიწის დამუშავებით.

თუ მიწის მშრომელმა მოხუცებულობის და სახიჩრობის გამო სამუდამოთ დაკარგა ნიჭი საკუთარი შრომით დაამუშაოს მიწა, მაშინ ის ჰკარგავს უფლებას ისარგებლოს მიწით და მის სამაგიეროთ ენიშნება მას სახელმწიფოსაგან პენსია.

7. მიწით სარგებლობა უნდა იყოს სწორი, ე. ი. მიწა უნდა განაწილდეს მშრომელთა შორის ადგილობრივ პირობების მიხედვით ან შრომითი ან მოხმარებითი საზომით.

ფორმა მიწით სარგებლობისა რჩება სულ მთლათ თავისუფალი; თვით სოფლის სწყვეტს, თუ რა ფორმას: ინდივიდუალურს, სათემოს, სარტელოს, თუ „საზეტორიას".

8. მთელი მიწა, მის ჩამორთმევის შემდეგ, ჩაირიცხება საბაღო ფონდში. მიწის განაწილებას შორის განაგებენ ადგილობრივი ცენტრალური თვითმართველობანი, რომლებიც დემოკრატიულათ შედგენილ სოფლის და ქალაქის თემებისგან ცენტრალურ საოლქო დაწესებულებებში მიწის ფონდი დროგამოშვებით ხელახლა განაწილდეს ხალხის ძალების, მწარმოებელ ძალთა გაზრდის და სოფლის კულტურულათ მიხედვით.

„ნადელების" საზღვრების შეცვლის დროს პირველ ყოფილი ნაკვეთების ზომა უნდა ხელშეუხლებელი დარჩეს.

გამორიცხული წესის ნაკვეთი დაებრუნდება უკანვე მიწის ფონდს მხოლოდ უპირატესი უფლება ამ მიწის ნაკვეთზე ეძლევა მის უახლოეს მეზობელს და იმ პირს ვისაც ედავება; ძველი გამოყენების უფლება ეკარგება.

მიწის განაყოფიერებაზე დახარჯული, სამელიორაციო ხარჯი, თუ მიწის მშრომელმა მითი ვერ ისარგებლა მიწის ფონდში გადასვლამდის, უნდა უკან დაებრუნდეს მიწის მშრომელს.

თუ რომელიმე ადგილში არსებული მიწის ფონდი ვერ აკმაყოფილებს მთელ ადგილობრივ მცხოვრებს, მაშინ მცხოვრებთა ზედმეტი წილი უნდა სხვა ადგილს გადასახლდეს.

გადასახლების ორგანიზაცია, აგრეთვე გადასახლებისგან გამოწვეული ხარჯი, საჭირო ინვენტარი და სხ. უნდა აიღოს სახემწიფომ.

გადასახლება უნდა მოხდეს შემდეგი წესით: ჯერ გადასახლდება უმიწაწყლონი, ვინც ამას თავის ნებით მოისურვებს; მერე საზოგადოების აზრ კენჭისყრით, დეპუტატებით და სხ. და სულ ბოლოს კენჭის ყრით ანუ თანხმობით.

ამ ნაკაზის სრული შინაარსი, როგორც მთელი რუსეთის შეგნებულ გლეხთა უმთავრეს ნაწილის ნებისყოფის გამოხატულება—აღიარება დროებითი კანონათ, რომელიც დამფუძნებელ კრების მოწვევამდის დაუყონებლივ უნდა იყოს ცხოვრებაში გატარებული შეძლებისადაგვარათ, ზოგიერთ თავის ნაწილში კი იმ საჭირო ცვლილებით, რომელსაც დაინახავს გლეხთა დეპუტატების საბჭო.

ღარიბ გლეხებს და ღარიბ ყაზაკებს მიწა არ ჩამოერთმევა.

სახალხო კომისრების საბჭოს თავჯდომარე ვლადიმირ ილიას ძე ლენინი.

26 ოქტომბერი 1917 წელ.

კონფლიკტი.

(პირღაპირი მავთულის აპარატთან. თბილისი სარაყამიში)

სარაყამიშიდან მომავალი რუსის ჯარის ულტიმატუმი ამიერ კავკასიის კომისარიატისადმი.

გუშინ წინ შემდეგი გამოლაპარაკება მოხდა სარაყამიშის სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარესა და თბილისის სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს შორის.

ეს ორი კომიტეტი, ორი მოპირდაპირე ნაწილია იმ საერთო საბჭოსი, რომელიც კავკასიის არმიამ თავის ხელმძღვანელათ აირჩია თავის მეორე სიეზდზე. მაგრამ დღეს ამიერ-კავკასიაში რევოლიუციის

...ომების გამო ორ მოპირდაპირე ...ნაზიათ ჭიდილი. პირველი კო... ტეტი ხსენებულ საბჭოს 52 წევრის ...ომადგენელია, ხოლო მეორე (თბი... ...ის) იმავე საბჭოს 48 წევრის; მაშა... ...პირველი (სარაყამიშის) გამოხა... ...ს უმრავლესობას, მეორე კი (თბილი... ...ს)—უმცირესობას. და აი, როგორც ...ით მთელი ნალაპარაკევიდან და... ...ვით, მათ შორის ომი უკვე გამოცხ... ...ებულია. ეს არის ჩვენში დასაწყისი ...ებული სამოქალაქო ომისა.

თბილისის სალდათთა საბჭოს კომი... ტეტი ბ. ცერეშჩაკის პირით ეკითხება ...ყამიშის სალდათთა სამხედრო-სარე... ...ციო კომიტეტის თავმჯდომარეს, ...ს. შებალდაევს.

—ცერეშჩაკი: რატომ მატარებლებს არ ...ავენ მაქედან (სარყამიშიდან) ეშე... ...ონებით?

—შებალდაევი: ამ უკანასკნელ ერთ ...ვირაში სარაყამიშის ტოტზე სულ ...8 მდე ვაგონი იქნა გამოშვებული ეშე... ...ონებისათვის. ამით შეჩერდა ეშელო... ...ების გზავნა აქედან.

რევოლიუციონური კომიტეტის გან... ...ულებით სამგზავრო მატარებლები ...ულ შეჩერეთ.

გთხოვთ გვაცნობოთ რა ზომები აქვს ...ღებული ამიერ-კავკასიის კომისარია... ...ს და რკინის გზის ცენტრალურ კომი... ...ტეტს, რომ კავკასიის არმიის მოთხოვ... ...ნილება დაკმაყოფილებულ იქნას, რათა ...არყამიშისაკენ საკმაო რიცხვი მატა... ...ებლებისა გაიგზავნოს. ჩვენი მოთხოვ... ...ის ვადა გუშინ საღამოს 7 საათზე ...ვიდა.

—ცერეშჩაკი: ასეთი მოთხოვნა პირ... ...ველათ გვესმის.

—შებალდაევი: სამხედრო-რევოლიუ... ...ციონურმა კომიტეტმა 25 იანვარს დეპე... ...ით მოთხოვა ამიერ-კავკასიის კომი... ...სარიატს, რომ აუხსნას მან მიზეზი, თუ ...რათ არ იგზავნება სარაყამიშზე ეშე... ...ონებისათვის საკმაო რიცხვი ვაგონე... ...ბისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხამხედ... ...რო-რევ. კომიტეტი ულტიმატუმს უყე... ...ნებდა მას. საჭიროა ეშელონებისათვის გამოიგზავნოს დღეში არა ნაკლებ სამი მატარებლისა: კომისარიატს პასუხი უნდა გაეცა 24 საათის განმავლობაში, უკე... თუ ის პასუხს არ მოგვცემდა ჩვენ უფლებას ვიტოვებდით თავისუფალ მო... ...ქმედებისა. დღეს როგორც ხედავთ ეს ვადა გასულია და ჩვენ არავითარი პა... ...სუხი არ ვიცით.

—ცერეშჩაკი: ჩვენ ასეთი რამ დეპეშა ...ა მოგვსვლია და ასეთ ტონისმქონე ...ერ არაფერი გვესმენია.

მაზეზი, თუ რატომ არ გამოგვგზავნეთ საკმაო რიცხვი ვაგონებისა, არის ამიერ-კავკასიაში მოძრავი ამ-ბები. რაც ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმეთ დავაცარტეთ. ამით საშუალება მოგვეცა გაგვესტუმრებინა აქედან 11 ეშელონი, რომელიც ცდეს უკვე ბაღდა... რას მშვიდობით (?) გასცილებ. ამას გარ... ...და ყველა ის ვაგონები, რომლებიც დღე... მდე ეშელონები გაგზავნილ, კავკაზის რკინის გზაზე გიდგანაყენეს ეშე... ...ლონებმა და უკან ცარი დაუბრუნებიათ; ამის გამო დღეს ამიერ-კავკასიაში ცარ... ...ელი ვაგონები ძალიან მოიკლება, რომ სარაყამიშს კარგად ვერ მოამარაგებს.

ხელს უშლის ერთი გარემოებაც, სა... ...ელდაბ ის, რომ ეშელონები გაიში მა... ...ტორებელს დაიძახებს ახერხებენ, მაგალ... ...ად ზემოხსენებული 11 ეშელონი ...დით გაჩერდა ბაქოში, ვიდრე ბაღდა... ...რას გაცდებოდა; ახლისის პლატი კიდევ აგერ 11 დღეა, რაც გზაში დგას და ვა... ...გონებს იკავებს. (აქ სრულიად ივიწყებს ბ. ცერეშჩაკი იმას თუ რა დდე დაიყენეს გუშინწინ ამ 11 ეშელონს განყის სადგურზე.)

ჩვენი მხრით, განაგრძობს ცერეშჩაკი, მილებულია (?) ყოველგვარი ზომა, რომ დროზე იქნას გაყვანილი აქედან სარაყამიშში და ჯულფაში დარჩენილი ეშელონები. მხოლოთ თქვენ არ უნდა ჩაერიოთ იმიერ-კავკასიის რკინის გზის ადმინისტრაციის განკარგულებაში და ალექსანდროპოლისა და ყარსში სამგზავრო მატარებლები არ შეაჩეროთ. თვალა თქვენი ულტიმატუმები უშედეგოთ დარჩება და ეშელონებს მეტ ზარალს მიაყენებთ. თქვენ ნუ ერევით საქმეში: ვინაიდან ჩვენ ყოველ გვარ ღონისა ვხმარობთ, ეშელონები დროზე და უვნებლათ (?) გავიდნენ.

— შებალდაევი: ჩვენ კონკრეტულათ მიგითითებთ იმ ზომებზე, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ახორების ვიწრო ლიანდაგი გზის დაცლა—გათავისუფლება. ეს შესაძლებელია მხოლოთ მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შეჩერებით და მათ ნაცვლათ პირველ ხანებში სანიტარულ სხვა სპეციალური შედგენილობას მატარებლების გამოშვებით ქ. თბილისამდე მაინც.

გვაცნობეთ შეასრულეთ, თუ არა ეს ჩვენი მოთხოვნა და შეგვატყობინეთ, როდის გამოგზავნით ჩვენთვის მატარებლებს საკმაო ვაგონებით სარაყამიშში; როდის რამდენ ვაგონს მოგვაწვდით?

—ცერეშჩაკი: განყისა და შამქორის ამბებმა საქმე ისე არია, რომ ამ ჟამათ ძნელი მოსახერხებელია ამდენი ვაგონების გამოგზავნა და მატარებლების ორგანიზაციულათ გარიგება.

ჩვენ მხედველობაში მივიდეთ ეშელონების თვითნება მოქმედება, რის გამოც ვაგონები გზაში იბანდება, ამასთან ისიც რომ თბილისიდ მიდამოებში სასურსათო კრიზისი მეტათ გამწვავებულია და ამიტომ ზომები მიგვიღეთ, რომ წამოსული ეშელონები თბილისს ასცდენ და გზაში სადგურებზე არ შეჩერდენ.

ამ ჟამათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა ლიანდაგებზე სრული სიწყნარეა (განყაში თავდასხმა?) და თუ ეშელონებს ახლაღე გამოუშვებთ დაბრკოლება გზაში არაფერი შეჰყვებათ (?) და ჩვენ ვვედგებით ვაგონებიც რიგზე მოგაწოდოთ.

— შებალდაევი: ხვალ დილით 10 საათამდე თუ ცნობა არ მიგიღეთ: გზაგნით თუ არა საკმაო რიცხვს ვაგონებისას და დამაკმაყოფილებელი პასუხი არ იქნა, ჩვენ ულტიმატუმს წამოუყენებთ ამ კაკ. კომისარიატს.

— ცერეშჩაკი: ულტიმატუმები თქვენთვის შეინახეთ და გთხოვთ კითხვებზე ცეპასუხოთ.

— შებალდაევი: ამას შემდეგ თქვენთან ყოველგვარ მოლაპარაკებას ვსწყვეტ.... თავმჯდომარე სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტისა შებალდაევი.

სამხედრო პოლიტიკური ნაწილის გამოცემები და პარტიების დემოგრიტიზაცია რუსეთში.

სამხედრო პოლიტიკური ნაწილმა გამოაქვეყნა 1918 წ. 30 იანვარს 4 ს. 30 წ. მილებული მთავარსარდლის შტაბის უფროსისაგან შემდეგი დეპეშა:

ამხანაგებო! სამხედრო მოპაპარაკება დასრულდა გერმანელ კაპიტალისტებმა, ბანკირებმა და მემამულეებმა, რომლებსაც დუმილით ხელს უწყობა ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზია, დაუყენეს ჩვენს ამხანაგებს, სამშვიდობო დელეგაციის წევრებს ბრესტში ისეთი პირობები, რომლის ქვეშ არ შეუძლია ხელი მოაწეროს რუსის დელეგაციამ. გერმანიის და ავსტრიის მთავრობებს სურთ მაღ ხელში იყოს იარაღით დაპყრობილი ადგილები, რუსეთის მუშების და გლეხების სახელხო მთავრობას არ შეუძლია ამაზე თავის თანხმობა მისცეს. ჩვენ არ შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ ისეთ ზავს, რომელსაც მოაქვს მწუხარება, გაპირვება და ტანჯვა მილიონ მუშებისა და გლეხებისათვის, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია და არ გვსურს ვაწარმოთ აგრეთვე ომი, რომელიც დაიწყეს მეფეებმა და კაპიტალისტებმა. მეფეებსა და კაპიტალისტებთან შეთანხმებით ჩვენ არ გვინდა და არც ვაწარმოებთ ომს გერმანიისა და ავსტრიის ჩვენ მსგავს მუშებსა და გლეხების წინააღმდეგ. ჩვენ არ ვაწერთ ხელს მემამულეებისა და კაპიტალისტების ზავს, დეე იცოდეს ახლა გერმანელ და ავსტრიელ ჯარისკაცებმა, ვინ და რისთვის მიერეკება მათ საომრათ. დეე, იცოდენ მათ, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ ომზე უარს ვაცხადებთ, ამიტომ ჩვენმა დელეგაციამ რუსეთის ხალხისა და სხვა ქვეყნების დამონავებულ მუშებისა და გლეხების წინაშე თავის პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ამ წლის 28 იანვარს განაცხადა შემდეგი:

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობა ამით აუწყებს ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ და ნეიტრალურ ქვეყნების მთავრობებს, რომ იგი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ანექსიონისტურ ხელშეკრულებაზე. რუსეთი თავის მხრით აცხადებს, რომ ის სწყვეტს ომს გერმანიასთან, ავსტრო-უნგრეთთან და ბოლგარიასთან. ამავე დროს ყველა ფრონტებზე მდგომ ჯარებს ბრძანება ეძლევა სრული demobilization-ის შესახებ. ბრესტ-ლიტოვსკი. ხელს აწერენ რუსეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე საგარეო საქმეთა კომისარი ტროცკი, დელეგაციის წევრი პიშჩენკო, კორენი, თოფფე, პაკროვსკი, უკრაინის ცენტ. აღმ. კომ. წევრი მედვედევი. უკრაინის რესპუბლიკის სამხედრო კომისარი მახრაი, დელეგაციის მდივანი ტარხანი.

ამის გამო დაუყონებლივ უწდა გამოუცხადოთ ჯარებს, რომ გერმანიასთან, ავსტრიასთან, ოსმალეთთან და ბოლგარეთთან ომი სამუდამოთ გათავდა,

არავითარ სამხედრო მოქმედებას ადგილი აღარ ექნება. ვაცხადებთ ყველა ფრონტებზე სრულ დემობილიზაციას. ფრონტის და ჯარების შტაბებს ევალებათ წინა ხაზებიდან წამოიყვანონ ჯარები და გაიჩერონ რეზერვში, რომ შემდეგ თავთავიანთ ადგილებში გაგზავნონ.

საზღვრის დასაცავათ გამოჰყავით უკანასკნელ წლების ჯარის კაცები.

ამხანაგო ჯარის კაცებო! ეცადეთ დაიცავათ წესიერება, რომ ყველა თავთავის სახლში დაბრუნდეს ისე, რომ რკინის გზის მოძრაობა არ შეფერხდეს; ეცადეთ მიტინგთა საწყობებში იარაღი, რომლებზედაც მილიარდებია დახარჯული. ჯერ გაიგზავნებიან 1908 და 1909 წლის ჯარისკაცები და დანარჩენიც შემდეგ.

ჯოლგინკო.

(„ერთობა“)

ცლეხთა აჯანყება მანჯის მუშებერნიაში.

განჯის გუბერნიაში, როგორც ვიცით, მოსახლეობას თათრის და სომხის გლეხობა. რუსეთის პირველი რევოლიუციის დროს ცხრაას ხუთში, აქაც, როგორც საზოგადოთ მთელ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში სომეხ-თათართა ქლეტა-ხოცვამ იჩინა თავი. დღეს კი გლეხობა მოძრაობის იწყებს აგრარულ ნიადაგზე და ამ მოძრაობის მეთაურებათ ჯერ-ჯერობით მხოლოთ თათრის გლეხობა გამოსდის. სამწუხარო და დასაგმობია აქ მხოლოთ ამ მოძრაობის ფორმა და ხასიათი. როგორც მნახველნი აგვიწერენ განჯის გუბერნიაში თათრის გლეხთა მოძრაობამ აგრარულ ნიადაგზე წვინდა „ბუნტარული“ ხასიათი და ფორმა მიიღო. სომხის გლეხობა ჯერ-ჯერობით სდუმს თუმცა ისინიც სულ უფრო და უფრო მოძრაობაში მოდიან და უნდა ვიფიქროთ, რომ მათ გამოსვლას უფრო მწყობრი და ორგანიზაციული ხასიათი ექნება

გლეხთა „ბუნტი“ განჯის გუბერნიაში ამ წლის იანვრის პირველ რიცხვებიდან დაიწყო. პირველათ მოძრაობა გაჩაღდა განჯის მაზრის მეოთხე ნაწილში, სადაც კლასობრივი მწყობრი პრძოლის ალაგას კლასიურმა შური ძიებამ იფეთქა: ცეცხლის ალი მოედო ერთბაშათ ამ ნაწილში ყველა ბეგებისა და ხანების სასახლეებს; თითქმის ყველა მათი ოჯახი ამოჟლეტილ იქნა.

როგორც გლეხებისგან გამოკითხვით ჩვენ მიერ შეგროვილ ცნობებიდან სჩანს 4 იანვრიდან ვიდრე 10 იანვრამდე სულ ცხრა ალაგას მოუხდენიათ გლეხებს ბეგების და ხანების ოჯახებზე თავდასხმა, და ყველგან უმეტესათ ამოჟლეტილია ოჯახის უფროსი მამაკაცები და მერე ქალებიც და ბავშვებიც კი. მხოლოთ ორ-სამ ალაგას „ხურდა ბეგებმა“ და მათმა ცოლშვილმა სომეხ გლეხების ოჯახებში თავი შეაფარა და მით სიკვდილს გადაურჩენ. მათი უძრავ-მოძრავი ქონება კი თათრის გლეხობას ჩაუვარდა ხელში. ისეთ მაწებია ხვნასაც კი შეუდგენ თურმე გამარჯვებულნი, სადაც ჯერ გუთანი არასოდეს არავის გაუტარებია. სხვა ვგარი ქონება კი სასახლეებიდან გაიტაცეს, შენობები ცეცხლს მისცეს.

მხოლოთ ერთი შემთხვევა გვიჩვენებს, რომ თათრის გლეხობაშიაც ახალმა საღმა და შეგნებულმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ეს მოხდა შამქორის ბეგების ოჯახებზე თავდასხმის დროს. აქაური გლეხების ერთი ნაწილი წასაღდგა „მტრების“ ქლეტა-ხოცას და ბევრი ბეგი და მათი ოჯახი სიკვდილს გადაარჩინა. 30-მდე ბეგმა დატოვა აქ თავისი „მამულ-დედული, და სამშობლოდან“ გადაიხვეწა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მიწას და ტყეს გლეხობის საკუთრებათ აცხადებდენ, ხოლო საქონელს და ცხენებს თავიანთ სახლებში ერეკებოდენ; შენობებს სწვავდენ. ქონებას ნიგთებს იტაცებდენ.

მეტათ საყურადღებოა, რომ თვითონ აჯანყებული თათრის გლეხები თავის მოქმედებას მიზეზათ შემდეგ გარემოებას ასახელებდენ.

1) რუსეთის ჯარის აქედან გახვლის შემდეგ-ამბობენ ისინი-შემოგვესივნენ თურქები და მაშინ ჩვენი ბეგები და ხანები ბოლოს მოგვიღებენ; მათ ხელში მაშინ ჩვენ აღარ გვეცხოვრება, ამიტომ სჯობია, რაკი რუსის ჯარი მიდის, ბეგებსა და ხანებს ახლავე ბოლო მოუღოთ.

ჩამოვწყვიტოთ, რომ მათგან საბოლოოთ განვთავისუფლდეთო.

2) დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ჩვენ ბეგებმა და ხანებმა მოვგვატყუეს: ხმას ჩვენ მაგიერ ისინი აძლევდენ და 11 №-რის ნაცვლად 12 №-რის სასარგებლოთ წავიდა ჩვენი ხმები.

ჩვენ ახლა მივხედით, რომ 11 №-რი ეს სია იყო სოციალ-დემოკრატიების ჰუმეტისა, ხოლო 12 №-რი კი სია ეგრეთ წოდებულ „სოციალისტების ბლოკის“, ე. ი. ბეგების და ხანების. ბევრ ადგილას სომხის გლეხობას საყვედურობენ თითქო „გლეხები: რატომ თქვენც ასევე არ აუჯანყდებით თქვენს ბეგებს და „აღალარებსო“. და მართლაც ამ საყვედურმა თითქო გასჭრაო, ამ უკანასკნელ დღეებში სომხის სოფლებიდანაც ისმის ხმა. გლეხთა მოძრაობა სომეხ-თათართა შეთანხმებულ აჯანყების წარმოადგენს წინააღმდეგ ხანებისა, ბეგებისა, ერთი სიტყვით ყველა მემამულეებისა და მათი დამცველ შავ-რაზმელებისა. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამ გუბერნიაში თავი მოუყრია მეტათ მსხვილ მემამულეებს, როგორც თათრებს ისე სომხებს მაგალითათ თათრის სულმცირე მემამულე-ფათხანავი - ფლობდა ათი ათას დესეტინა მიწას, ხოლო ყველაზე მსხვილი ზიულგადაროვი 56 ათას დესეტინას.

არიან წვრილი მემამულე ბეგებიც, რომელთაც ათას დესეტინაზე ნაკლები მიწა არ ჰქონდათ.

სომეხ მემამულეებში ყველაზე ცნობილი არიან, რომელთა წინააღმდეგ დღეს გლეხები აჯანყდენ, შემდეგი გვარები: შირზაევი, იუზბაშევი, მელიქ—ბეგლაროვი, არაფელოვი, მანთაშევი, არამანცი და სხვები, რომელთაგან თვითეთეულს ჰქონდა არა ნაკლებ 10—15 ათასი დესეტინისა.

მუშათა ფჭრილები.

1905 წლის რევოლიუციამ წარმოშვა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომლის ავტორი იყო ცნობილი იმ დროინდელი მინისტრი ვიტტე. ამ რევოლიუციაშიც მონაწილეობას იღებდა მუშათა კლასთან ერთათ მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია როცა ამ უკანასკნელებს მცირეოდენი საქენჯი გადმოუგდეს, ე. ი. 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოსცეს. ეს უკანასკნელები მყისვე ჩამოშორდენ რევოლიუციას და რომ თავიანთი ბატონობა განემტკიცებიათ და მით რევოლიუცია დაესამარებიათ, უწინდელ მთავრობას ამოუდგენ გვერდში, მუშათა კლასი დარჩა განმარტოებული. რის მეთხებით მან სასტიკი დამარცხება იგემა.

27 თებერვლის 1917 წლის რევოლიუციაშიც იგივე ბურჟუაზია და მუშათა კლასი იღებდა მონაწილეობას.

თუმცა ბურჟუაზია ბევრი ეცადა ჩაეგონებია ნიკოლოზისთვის, რომ დათმობის მხრით რაიმე ნაბიჯი გადაედგა და მით რევოლიუცია თავიდან აეშორებია, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბურჟუაზია იძულებული გახდა მუშათა კლას გვერდში ამოდგომოდა, და რაკი ძველი მთავრობა ემხობოდა. მის ნაცვლათ თვით ბურჟუაზია მოქცეოდა სათავეში.

ეს ასეც მოხდა: მთავრობა დაემხო, ხოლო მიე მაგიერ ჩვენ ვხედავთ მუშათა ისტორიულ ტრუბს—ოქტომბრისტებს, კადეტებს. ამ უკანასკნელებმა კი ვიტტესებური პოლიტიკა აწარმოეს: სოციალისტის ქურქში გახვეულ ანუ დროებით გასოციალისტებულ ლიბერალურ ინტელიგენციას საკენკი გადაუყარეს, მათ სხვადასხვა მსუქანი ჯამაგირიანი თანამდებობები მიუჩინეს, როგორიც არის მაგ. ქალაქის თაობა, „გუბერნსკი“ და „უეზდნი კომისაროობა“ უბოძა.

ამით ერთი გავლენიანი პარტია მენშევიკების და ესერების სახით დააკმაყოფილა, როცა თავი თბილ-თბილი კაბინეტებში მოიქციეს, ამ უკანასკნელებმა ძველი ბრძოლის მეთოდი შეურიგებელი კლასიური ბრძოლის პრინციპი უკუ აგდეს და ბურჟუაზიასთან ფეოდალურ ნაციონალისტურ პარტიებთან ხელიხელ ჩაკიდებული მთელი პოლიტიკა მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართეს.

ასეთ მათ მოღალატეობას მუშათა კლასმა ბალშევიკების მეთაურობით ფარდა ახადა.

მუშამ და სალდათის შინელში გახვეულმა გლეხებმა თავისი მტერ-მოყვარე იცვნეს, 25 ოქტომბრის რევოლიუციით მათ ბურჟუაზიული მთავრობა ერთის დაკვრით ძირს გადმოაგდეს. მათ ოპეკას თავი დაანებეს და თავისი რევოლიუციონური მიზნების განხორციელება დღიურ წეს რიგში წამოაყენეს.

თუ 1905 წელს ოქტომბრისტები და კადეტები გადუდგენ რევოლიუციას, 25 ოქტომბრის რევოლიუციას ბურჟუაზიასთან ერთად ჩამოშორდა სოც. ქურქშიგახვეული თბილ ადგილებზე მოკალთებული ინტელიგენცია მენშევიკ-ესერების სახით და მათ თან გაჰყვა ის სოციალიზმით დამონებული წვრილი ბურჟუაზია, რომელთაც სოციალიზმთან საერთო არაფერი აქვთ. მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. რაც ადრე ჩამოყალიბდება მუშათა კლასი და ჩამოიშორებს არა მკითხე აბეკუნებს, მით უკეთესია. შეიძლება ასეთმა ჩამოყალიბებამ მუშათა კლასს 1905 წლის ბედი არგუნოს წილად, შეიძლება ჩვენ დავმარცხდეთ, მაგრამ სრული დარწმუნებული ვართ, იდეია მაინც გაიმარჯვებს. და რაც უნდა ეცადონ მუშათა კლასის მტრებმა ბურჟუაზიამ და მენშევიკ-ესერებმა, ამ იდეას ვერ ჩაკლავენ. მათი აღსასრულის დღე დათვლილია და ამის მოლოდინში ისინი წყდაჩრილი დათვივით ებრძვიან ბალშევიკებს, მათ წაინაღმდეგ ათას ნაირ ჭორს ავრცელებენ, აგრამ ამაოთ.

მუშა ესიკელაშვილი

რევოლიუცია ამიერ-კავკასიის სეიმზე.

თბილისის სალდათის დეპუტატების საბჭოს ბალშევიკური ფრაქციის 1918 წლის 28 იანვრის სხდომაზე გამოტანილი.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამ კაუკ. სეიმის მოწვევა, რომელიც კონტრრევოლიუციონური ელემენტების წარმომადგენლებისგან შედგება, ცდაა იმ კოალიციონური მთავრობის დამყარებისა რომელიც კლასობრივ ბრძოლის დაბნელების მსახურება და პროლეტარულ გლეხური მთავრობის დამხობას ნატრობს. ამიტომ ბალშევიკების ფრაქცია აუცილებელ საჭიროებათ ჭრობს, რომ სეიმს ნაცვლათ დაუყონებლივ მოწვეულ იქნას მთელი კავკასიის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების ყველა საბჭოების საგანგებო საერთო სიგნდი ჩვენს მხარეში (კავკასიაში) საბჭოთა მთავრობის შესადგენათ.

დეკეშა მანჯილან.

28 იანვარი. დღეს, 27 იანვარს განჯის სადგურზე მოვიდა ეშალონები სავსე მატარებელი 1-ლ რომელსაც თავს დაესხენ შეიარაღებული თათრები და სროლა აუტეხეს მატარებელი ბაქოსკენ წავიდა ისე, რომ სროლა არ შეწყვეტილა არავინ იცის, თუ რამდენია ვაგონებში დაჭრილ დახოცილთა რიცხვი.

სადგურის-მოსამსახურეებს აქ დარჩენა აღარ შეუძლიათ. მათ ბარგი ბარხანა აღარა აქვს და სხვაგან მიებარგებიან. მაგრამ მათ ვაგონებს, რომლებიც ბარგი იყო სავსე, თავს დაესხენ თათრები და იმათი უკანასკნელი ქონებაც გაიტაცეს.

აფ. დუნდუას თავხედობა.

19 იანვარს საღ. სამტრედიაში შემდეგი სურათის მრწმე გაეხდი: ათ საათზე ბუფეტის მეორე კლასის ზალიდან ვიღაცას სურვილის თანახმად ყველა მგზავრები გაგვრეკეს მესამე კლასის ზალაში და ნება არ მოგვცეს, რომ დაელილ-დაქანცულ მგზავრებს, იქ ღმე გაგვეთია. კუთხეში სტოლთან ჩამომძიებული იყო ერთი რუსი სალდათი, რომელიც ეშელონს ჩამორჩენოდა. მასთან მივედი შტაბს-კაპიტანი დუნდუა და დაუწყო ლვიძება სალდათს. სალდათი წამოდგა და თავალების ფშნეტა დაიწყო. დუნდუამ მას მუჯღუგუნი გაჰკრა და დაყვირა: გარეთ გადიო. სალდათმა არ იცოდა რა ხდებოდა და ჩაიღაპარაკა: „что за шишка?-ო“ ამის თქმა და დუნდუას მიერ სალდათისთვის სილის გარტყმა ერთი იყო. სალდათს არაფერი არ უთქვამს, მხოლოდ საჩივლელათ წავიდა საჭილო ცენტრში.

ეს თავხედობა პირველი არაა ამ ვაჟბატონის ცხოვრებაში. დროა, აღუთმა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ პირში მაგარი ლაგამი ამოსდოს მას.

ინ-ტარი შრომიძე

ფონდი.

ქ. სამტრედია. 12 იანვარს 1918 წ. რ. ს. დ. მ. პ. ბალშევიკების საერთო კრებაზე იყო დასმული კითხვა საოლქო კომიტეტის მოწვდება ნივთიერ დახმარების შესახებ. კრებამ გადასწყვიტა დაეხმაროს საოლქო კომიტეტს ნივთიერათ შეძლებისდაგვარად. შეგროვდა სულ 115 მ. 50 კ.

შემომწირველთა სია:

ს. კოპალეიშვილმა 6 მ. ხუთ-ხუთი მანეთი: ელ. ყეინკიძემ, ერ. ნაფეტვარიძემ, პ. ბოინაროვიჩმა, მ. არველაძემ, გ. კალანდაძემ, დ. ს ანტონოვმა, ვ. რევიშვილმა, ე. ტორონჯაძემ, ვ. ცვანტალიანმა:

დ. კობახიძემ 10 მანეთი. ოთხ-ოთხი მანეთი: ა. ფოცხვერაძემ და გ. ჯანჯალიამ.

სამ-სამი მანეთი: ტ. ახობაძემ, ვ. ახობაძემ, აკ. ხამთარიძემ, ვ. გეგიშიძემ, პ. ქუთათელაძემ, ი. კრავეიშვილმა, ვ. კრავეიშვილმა, ვ. მგელაძემ, ალ. თოფაძემ 3 მან. 50 კ.

ორ-ორი მანეთი: ს. შენგელიამ, ვ. სტურუამ, კ. მიაძემ, ვ. კალაძემ, ვ. სტურუამ, ო. ურუშძემ, ს. კიკაჩეიშვილმა, ა. გეგიშიძემ 1მან. 50 კ.

თითო მანეთი: ს. ზამთარაძემ, რ. ზამთარაძემ. თ. ენგელიამ 1 მ. 50 კ.

„მდიუანი“ პ. კიკაჩეიშვილი.

განცხადებები

„ბრძოლის“ რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 11—12 სა

შაბათს, 3 თებერვალს სამედიცო საზოგადოების (პუშკინის ბაღში) დრეს ბაღში) ქების თვ. მეოთხე რაიონ მართავს ლექცია ბელი კრება და საბუთები ამხ. მიხა ცხაკაია. შესასვლელ ფასი 60 კ. ბილეთები იყიდება ბიუროში.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკების) ლისის პირველი რაიონის წევრ მელთაც 1918 წლის საწევრო არ მიულიათ, პარტიიდან გა ჩაითვლებიან; ამიტომ ვთხოვთ დაჩქარონ ახალი ბილეთების

რ. ს. დ. მ. პარ. (ბალ.) თბილ ველი რაიონის ამხ. პროპაგან და აგიტატორებს, რომელთაც სოფლათ გავიდენ პარტიულ მუ თვის ვთხოვთ ახლავე ჩაეწერონ ქტივის მდივანთან ბიუროში.

პირველი რაიონის აგიტატორ პაგანდისტთა კომისია.

კოლექტ

რ. ს. დ. მ. პ. (ბალ.) თბილ. ორ ხაციების კომიტეტების ბიუროების რესები:

საქალაქო კომიტეტის: განვის („ბრძოლის“ რედაქცია ტელ 3—11 კომიტეტის მდივანი ფება დილის 10 საათ. ნაშ ათამდე საღამოს 6—8 საათ.

I რაიონის: ჩერქეზოვის ქუჩა მდივანი იმყოფება საღამოს საათამდე.

II რაიონის: ელისაბედის ქუჩა მდივანი იმყოფება საღამოს საათამდე.

III რაიონის: კახეთის ქუჩა (ბრძოლის კლუბი) ტელეფონი მდივანი იმყოფება დილის 11 ნაშუადღეზე 2 საათამდე. სო მობრით 5—9 საათამდე.

IV რაიონის: გაზეთის ქუჩა („ბრძოლის“ რედაქცია) ტელ. მდივანი იმყოფება საღამობრ 5—7 საათ.

მუსულმანთა ორგანიზ. „ჰუმეტის“: სურ საქმისას ქუჩა 10, ტელეფონი 14—15. მდივანი იმყოფება საღ მობრით 5—8 საათამდე.

ოსთა ორგანიზაციის „ჩერმეჯის“: ჩერქეზოვის ქუჩა მდივანი იმყოფება საღამობრით 5—8 საათ.